



## „ვეფხის ტყაოსანის“ ტექსტის დამდგენი კომისია

სურათზე მარცხნიდან მარჯვნივ: ი. აბულაძე, კ. ჭიჭინაძე, ვ. ბერიძე, ს. იორდანიშვილი, კ. კეკელიძე, ს. კაკაბაძე და ა. ბარამიძე აკლია: ივ. ჯავახიშვილი, ა. შანიძე.

## საუბარი „ვეფხის ტყაოსანი“-ს ტექსტის დამდგენ კომისიის თავმჯდომარე პროფ. კ. კეკელიძესთან

ჩვენი ჟურნალის წარმომადგენელს „ვეფხის ტყაოსანის“ ტექსტის დამდგენ კომისიის თავმჯდომარემ პროფეს. კ. კეკელიძემ განუცხადა ორას წელზე მეტია, რაც ჩვენში წარმოებს მეცნიერული მუშაობა „ვეფხის ტყაოსანის“ შესწავლის მიზნით; 1712 წლიდან, როდესაც ეს პოემა პირველად დაიბეჭდა, დღემდე 29 გამოცემა მოგვეპოვება მისი. მაგრამ ამასთან ერთად უნდა აღინიშნოს, რომ აქამდე ჩატარებული მუშაობა შემთხვევითი ხასიათისა იყო, ის კარმო ინიგიატივისა და წამოწყების შედეგს წარმოადგენდა. ნაიღვილი გეგმიანი, ორგანიზირებული მუშაობა ამ მიმართულებით შესაძლებელი შეიქნა საბჭოთა წყობილების პირობებში. პროფეტორი, რომელიც თავისთავს აცხადებს მემკვიდრედ გარდასულ ეპოქათა ტექნიკის, მეცნიერების და ლიტერატურის საუკეთესო მიღწევებისა თვითონ კისრულობს ამ ბუმბერაზი ნაწარმოების პატრონობას და მუშაობას მისი შესწავლის მიზნით სახელმწიფოებრივ ხასიათს აძლევს. სასკლმწიფო უნივერსიტეტთან ყალიბდება რუსთაველის სახელობის ლიტერატურის სამეცნიერო-საკვლევო ინსტიტუტი, რომელიც მისნათ ისახავს რუსთაველთა მემკვიდრული მემკვიდრეების გარკვევას. პარტიისა და მთავრობის ინიციატივით აღნიშნულ ინსტიტუტში შექმნილია საგანგებო კომისია, რომელსაც დავალებული აქვს 1937 წელს განზრახული იუბილეისათვის მიაწოდოს საზოგადოებას „ვეფხის ტყაოსანის“ კრიტიკულ — აკადემიური გამოცემა. ამ კომისიაში გაერთიანებულია ყველა კვალიფიციური სამეცნიერო ძალები, რომელთაც თავისი წვლილი

შეუტანიათ რუსთველლოგიაში. კომისიის სამეცნიერო მიზნებისათვის ინსტიტუტში თავმოყრილია ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა კუთხიდან, რუსეთიდანაც კი, ყველა დღესდღეობით ცნობილი ხელთნაწერები ბოემისა, აქ დაგროვილია გამოცემებისა და ყოველგვარი სამეცნიერო ლიტერატურა. ერთი ხიტყვით, ასეთი ფართო მასტაბით, ასე გვეგმიანად და სერიოზულად „ვეფხისტყაოსნის“ გამოცემის საქმე ჯერ არაზდროს არ ყოფილა დაყენებული.

კომისია, რომელიც ცხრა კაცისაგან შესდგება, მუშაობას 15 აპრილიდან შეუდგა; მუშაობა წარმოებს რუსთველის ინსტიტუტში ყოველდღე. მისი მიზანია: 1) გამოყოფა იმისა; რაც ბოემაში მის ავტორს უნდა ეკუთვნოდეს, იმისგან, რაც შემდეგაა ჩაშატებული იმასი; 2) დადგენა უტყუარი წაკითხვისა როგორც ნამდვილი, ისე ყალბი სტროფების ამათეიმ საცილობელი ადგილისა. ამ მიზნით საჭიროა ამოწერა არსებული ხელთნაწერებიდან ყოველგვარი ვარიანტებისა. ასეთი მუშაობას მთელი თვის განმავლობაში (15 აპრილი — 15 მაისი) თვით კომისია აწარმოებდა, ესლა კი, მისი უშუალო ხელმძღვანელობით, მას აწარმოებს ახალგაზრდა საუნივერსიტეტო ძალები ქართული ფილოლოგიის დარგიდან.

15 მაისიდან კომისია შეუდგა, ამოკრეფილი ვარიანტებისა და თავმოყრილი მასალის მიხედვით ტექსტის კრიტიკულ დადგენას. მუშაობის პროცესში, რომელიც დამყარებულია ფილოლოგიის, ლინგვისტიკის და პოეტიკის უკანასკნელი დროის მეცნიერულ მიღწევებზე, მხედველობაში მიღებულია და გამოყენებული შედეგები აქამდე ჩატარებული მუშაობისა. ყოველი დონეა მიღებული იმისათვის, რომ საწოგადოებას მივცეთ ისეთი გამოცემა, რომელიც შეეფერება თანამედროვე დონეს და ეტაპს ჩვენი მეცნიერული განვითარებისას. დადგენილია კრიტიკულად 1 ივლისამდე სულ 240 სტროფი ბოემისა. იმედია პარტიის, მთავრობის და მთელი საბჭოთა საწოგადოებრივობის ხელისშეწყობით და თანაგრძნობით კომისია მუშაობას დაამთავრებს 1936 წლის ივნისისათვის, რის შემდეგ დაიწყება ჩვეულოვანი დადგენილი ტექსტისა მისი ლექსიკონით, სამეცნიერო აპარატით და კომენტარებით.

